



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 201/ს
19/07/2022

201-21-4-202207191052



**ქ. მარტვილში, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“
საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა
და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 412670097) მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. მარტვილში, საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „მუნიციპალპროექტის“ მიერ.

2021 წლის 28 ივლისს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოდგენილი იყო ქ. მარტვილში საკანალიზაციო სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგენილ იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N44, 20.09.2021; ბრძანება N2-1467 18.10.2021).

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ამჟამად მარტვილში დაბინძურებული სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინება ზედაპირული წყლის ობიექტში - მდ. აბაშისწყალში. შესაბამისად, მარტვილის ჩამდინარე წყლების არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ასევე ნიადაგის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად პროექტის ფარგლებში დაიგეგმა

ჩამდინარე წყლების სისტემების მოწყობა, რომელიც ითვალისწინებს წყალარინების ქსელის, მაგისტრალური კოლექტორისა და ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას. დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის სანიტარული მდგომარეობა და დადებით ზეგავლენას იქონიებს რეგიონზე ტურისტული თვალსაზრისით. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო წყალარინების ქსელისა და კოლექტორის და გამწმენდი ნაგებობის გენერალური გეგმები.

გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. განხილულია არაქმედებისა, გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემის განთავსების ტერიტორიის ალტერნატივები. ანგარიშში აღნიშნულია, რომ არაქმედების, ანუ ნულოვანი ალტერნატივა პროექტის განხორციელებაზე უარის თქმას გულისხმობს, რის შედეგადაც მარტვილის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების მართვის საკითხის პრობლემა კვლავ გადაუჭრელი დარჩება. დოკუმენტაციაში განხილულია გამწმენდი ნაგებობის განთავსების ორი ალტერნატიული ტერიტორია. პირველი ალტერნატივა ითვალისწინებდა ქ. მარტვილში ან მის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიის შერჩევას, რასაც შესაძლებელი იყო გამოეწვია ფიზიკური განსახლება. გამწმენდი ნაგებობის განთავსებისთვის შეირჩა მეორე ალტერნატივა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 41.09.39.689), რომელიც თავისუფალია მცენარეული საფარისგან და შესაბამისად, პროექტის განხორციელება მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას არ ითვალისწინებს. ასევე აღნიშნული ტერიტორიის მდებარეობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი იქნება მარტვილის სრული დასახლების საკანალიზაციო სისტემაში ჩართვა.

გამწმენდი ნაგებობის ალტერნატიული ვარიანტებიდან შეირჩა სპეციალური კომპაქტური ნაგებობის პროექტი აქტივირებული ლამის სისტემით. ბიოლოგიური გაწმენდის ეს ტიპი აერთიანებს: კომპაქტური ავზის მშენებლობას, ეფექტურ წვრილბუმტოვან აერაციას აქტიური ლამის სისტემის საპროცესო უპირატესობებთან ერთად და ტექნიკური აღჭურვილობის ოპტიმალურ გამოყენებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა დაგეგმილია მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. გამწმენდი ნაგებობა და წყალარინების სისტემები მოემსახურება 7295 ადამიანს. წყალარინების ობიექტი ქ. მარტვილის გარდა მოიცავს შემდეგ დასახლებულ ადგილებსაც: საელიაო, ნახარებაო, ასევე ზემო და ქვემო ნაგვაზაოს 15%.

პროექტით გათვალისწინებული ახალი გამწმენდი ნაგებობის (წარმადობა 3533 მ³/დღ) განთავსება დაგეგმილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, 9787 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: 41.09.39.689 (გამწმენდი ნაგებობისთვის შერჩეული ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-282103.3, Y-4697078.9; X-282161.4, Y-4697045.4; X-282087.9, Y-4696923.1; X-282030.1, Y-4696973.8). გამწმენდი ნაგებობის განთავსება დაგეგმილია მდ. აბაშისწყლის ნაპირიდან დაახლოებით 53 მეტრში. საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 323 მეტრში მდებარეობს კერძო პირის საკუთრებაში არსებული უახლოესი შენობა-ნაგებობა (საოჯახო

კვების ობიექტი), ხოლო მჭიდრო დასახლება დაცილებულია 400 მ-ზე მეტი მანძილით. საპროექტო ტერიტორიის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დახლოებით 85 მ-ში განთავსებულია შპს „მარტვილავტოგზის“ საწარმო ობიექტი. ტერიტორიის მიმდებარედ გადის გრუნტის გზა, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული გაწმენდილი წყლების ჩაშვება მოხდება მდინარე აბაშისწყალში. ჩაშვების წერტილის კოორდინატია X-281967; Y-4696937.

შესასრულებელი საპროექტო სამუშაოების ტექნიკური კომპონენტები მოიცავს წყალარინების ქსელისა და კოლექტორის მოწყობას, ხოლო ჯამში საკანალიზაციო ქსელის საერთო სიგრძე (გამომყვანების ჩათვლით) შეადგენს 33 კმ-ს. ჩამდინარე წყალი გროვდება ქალაქ მარტვილის საკანალიზაციო სისტემაში, ხოლო შემდეგ გადაინაცვლებს ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობის შემყვანისკენ. წყალარინების ქსელი ძირითადად თვითდინებადია, გარდა გარკვეული ადგილებისა, სადაც შეუძლებელია ჩამდინარე წყლის თვითდენით გადასვლა. აღნიშნულ ადგილებში გათვალისწინებულია 1,5-2 მ სიღრმის ჭებში 6 ტუმბოს განთავსება (ჭების განთავსების GPS კოორდინატები: 1. X-285255.1608, Y-4700912.0641; 2. X-284959.7308, Y-4700641.4641; 3. X-284681.0881, Y-4700245.3587; 4. X-284440.8208, Y-4699697.9241; 5. X-283485.6800, Y-4699128.1319; 6. X-283375.6040, Y-4698345.1406). კოლექტორის და შიდა საკანალიზაციო ქსელების გაყვანა მოხდება მაღალი სიმკვრივის მქონე პოლიეთილენის მილებით. დოკუმენტის თანახმად, მილსადენების პარამეტრებია: d=350 მმ - 2771 მ, d=300 მმ - 130 მ, d=200 მმ - 25340 მ და d=150 მმ (ეზოს ქსელები და გამომყვანები) – 5010 მ. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, წყალარინების ქსელების მინიმალური ჩაღრმავება შეადგენს 1,2 მ-ს (შენობების ინდივიდუალურ გამომყვანებზე და ეზოს ქსელებში ზოგიერთ ადგილას 0,6÷0,7 მ-მდე), ხოლო მაქსიმალური - 7 მ-ს. ქსელზე ასევე გათვალისწინებულია წყალარინების სათვალთვალო ჭების მოწყობა. ჭები მოეწყობა რკინაბეტონის რგოლებით და აღჭურვილი იქნება თუჯის ხუფებით, ხოლო ჭების ქვედა ნაწილში მოეწყობა მონოლითური ბეტონის ღარები.

მარტვილის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლები მაგისტრალური კოლექტორის საშუალებით მოხვდება გამწმენდ ნაგებობაში. კოლექტორი გაყვანილი იქნება 200 მმ დიამეტრის მქონე მილებით. მომხმარებელთან დაერთების მილების მინიმალური დიამეტრი კი 150 მმ იქნება. კოლექტორის და შიდა საკანალიზაციო ქსელების გაყვანა მოხდება მაღალი სიმკვრივის მქონე პოლიეთილენის მილებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გამწმენდი ნაგებობიდან გამომავალი მიწისქვეშა მილები, წყალჩაშვების წერტილამდე გაივლის არსებული გრუნტის გზის გასწვრივ. გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 1 წელიწადს (250 სამუშაო დღეს). მშენებლობის დროს დასაქმებული იქნება დაახლოებით 50-70 ადამიანი. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამწმენდი ნაგებობა იმუშავებს 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით. ობიექტის ექსპლუატაციის დროს დასაქმდება დაახლოებით 5-10 ადამიანი.

ჩამდინარე წყლების გაწმენდის პროცესი მოიცავს წინასწარ მექანიკურ გაწმენდას, ბიოლოგიური აქტიური ლამით გაწმენდის საფეხურს, ჩამდინარე წყლების მესამეულ გაწმენდას და ჭარბი ლამის მართვას. წყალი და აქტივირებული ჭარბი ლამი გაწმენდის

პროცესში გაივლის მსხვილი გისოსის, მიმღები სატუმბი სადგურის, მექანიკური გაწმენდის საფეხურის, რომელიც შედგება წვრილი გისოსის, ქვიშისა და ცხიმის დამჭერებისგან, ასევე ფოსფორისა და აზოტის ბიოლოგიური მოცილების ავზის, აქტივირებული ლამის ავზის, სალექარის, ლამის სათავსოს და ლამის გაუწყლოვნების ავზების დანადგარებს.

ჩამდინარე წყალი გროვდება ქალაქ მარტვილის საკანალიზაციო სისტემაში, ხოლო შემდეგ გადაინაცვლებს ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობის შემყვანისკენ.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია ტექნოლოგიური ანგარიშის ძირითადი მონაცემები: ჰიდრავლიკური დატვირთვა - ჩამდინარე წყლის რაოდენობა და გამწმენდ ნაგებობებზე მოსული წყლის ხარჯი, ბიოქიმიური დატვირთვა - შემოდინებულ წყალში არსებული ნივთიერებები და მასალები: მკვებავი ნივთიერება (აზოტი, ფოსფორი), ბიოდეგრადირებადი (ჟბმ5), (ჟქმ) და არაორგანული/მინერალური დატვირთვა.

ვინაიდან წყლის ტემპერატურა დიდ გავლენას ახდენს მიკროორგანიზმების ცხოველქმედებაზე, ასევე წყალში ჟანგბადის ხსნადობა პირდაპირ დამოკიდებულია ტემპერატურასა და წნევაზე, მარტვილის რეგიონისთვის, აქტივირებული ლამის ავზში მინიმალურ ტემპერატურად მოთხოვნისამებრ შეირჩა 12°C.

გამწმენდი ნაგებობაში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესის მიზანია მიკროორგანიზმს შეუქმნას არსებობის ოპტიმალური პირობები. აქტიური ლამის ნაგებობებში მიმდინარეობს სხვადასხვა ბიოლოგიური პროცესები, ბიოლოგიური ნაწილაკების ზრდისთვის გახსნილი ჟანგბადის გამოყენებით, რაც განაპირობებს ორგანული მინარევების გაწმენდას. ის ასევე ამონიუმის მარილებს გადააქცევს ნიტრატის მარილებად, ხოლო, ამ უკანასკნელს კი გარდაქმნის თავისუფალი აზოტის ფორმაში ჟანგბადის გამოყოფით. წმენდის ეს პროცესი მიმდინარეობს აქტივირებული ლამის ავზში, სადაც ბაქტერიების მიერ ნახშირბადის მოცილება ხდება გაფართოებული საბარბოტაჟო აერაციით. აღნიშნული ეტაპი განკუთვნილია კანალიზაციის ბიოლოგიური დაბინძურების (ორგანული ნახშირბადის და აზოტის) დეგრადაციისთვის.

ლამის დაყოვნების დრო გაუწყლოვანებამდე 1 სთ-ია. ლამის შესანახი აუზის რაოდენობა არის - 1. ლამის გაუწყლოვანების პროცესი მოიცავს წმენდის 2 ნაბიჯს: წინასწარი გასქელება და გაუწყლოვანება ლენტური წნეხით, ლამს გაუწყლოვანებამდე პოლიმერი დაემატება. ლამის გაუწყლოვანება მოხდება 18-20%-მდე.

თითოეულ სალექარს ექნება საკუთარი დაბრუნებული ლამის ტუმბო მოცულობით 180 მ³/სთ თითო ხაზზე, აქტივირებული ლამის რეცირკულაციისთვის, რომელიც სალექარიდან უკან აქტივირებული ლამის აუზისკენ გადატანას უზრუნველყოფს. გამწმენდი ნაგებობიდან ამოღებული ჭარბი ლამი სათანადო დამუშავების (გაუწყლოება, გამოშრობა) შემდეგ, დროებით დასაწყობდება გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე მოწყობილ 10 მ სიგრძისა და 10 მ სიგანის სპეციალური ლამის საცავში (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-282105; Y-4697061). დასაწყობებული ლამი, შესაბამისი ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე, მას შემდეგ, რაც დადგინდება ნარჩენის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობა და სახიფათობის მაჩვენებელი, ნარჩენების მართვის

გეგმის საფუძველზე, სათანადო კოდის მითითებით (19 03 04* - ნარჩენები, რომლებიც მარკირებულია როგორც სახიფათო ნაწილობრივ სტაბილიზირებული, რომელიც არ არის მოხსენიებული 19 03 08 -ში; ან 20 03 06 - ნარჩენები კანალიზაციის გაწმენდისგან) გატანილი იქნება მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე, ან გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას შემდგომი მართვისთვის.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე დაგეგმილია სამშენებლო ბანაკის მოწყობა, შერჩეული ტერიტორიის მომზადება და ბალახეული საფარისაგან გათავისუფლება. სამშენებლო ბანაკის შერჩევა განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბანაკის ტერიტორიის შერჩევას გათვალისწინებული იქნება რელიეფი, საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, სიახლოვე სამშენებლო უბანთან, მცენარეული საფარის არარსებობა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმცირე. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოეწყობა ავტოსადგომი, სასაწყობე მეურნეობა, საოფისე, მუშა-მოსამსახურეთა და მოსასვენებელი ოთახები და საპირფარეშო. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო მასალებისა და ბეტონის ხსნარის შემოტანა განხორციელდება მზა სახით, ადგილობრივი საწარმოებიდან. იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტორის მიერ საჭიროდ ჩაითვლება ობიექტზე მცირე ზომის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის ან ბეტონის კვანძის განთავსება, კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების გავლა. მშენებლობის პროცესში გამოყენებული იქნება შესაბამისი სამშენებლო ტექნიკა: 2 ექსკავატორი, 2 ბორბლიანი მტვირთავი, 2 თვითმცლელი, ტრაქტორი და ბულდოზერი. გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შემდეგ ტერიტორიის ნაწილი მოშანდაკებული იქნება ბეტონის ფენით. დოკუმენტის თანახმად, სამშენებლო მასალებისა და მუშახელის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება არსებული საავტომობილო გზები. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ აღნიშნულ ეტაპზე საავტომობილო გზებზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მიზნით გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საკითხები, მათ შორის შემოვლითი მარშრუტების შერჩევა, მუხლუხოიანი ტექნიკისა და საზოგადოებრივ გზებზე მანქანების გადაადგილების შეზღუდვა. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა არ იქნება ინტენსიური, შესაბამისად, მოსალოდნელი არ იქნება სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ობიექტზე წყლის გამოყენება დაგეგმილია სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით. მშენებლობის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება განხორციელდება არსებული წყალმომარაგების სისტემიდან ან ავტოცისტერნების საშუალებით, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე შემოტანილი იქნება ბუტილირებული წყალი. დოკუმენტის თანახმად, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოეწყობა წყლის სამარაგო რეზერვუარი, საიდანაც შიდა სისტემის საშუალებით წყალი მიეწოდება ბანაკის ცალკეულ ობიექტებს. სამეურნეო-ფეკალური წყლებისათვის ტერიტორიაზე მოეწყობა დაახლოებით 20-25 მ³ მოცულობის საასენიზაციო ორმო, რომლის დაცვაც განხორციელდება საასენიზაციო მანქანის საშუალებით. ექსპლუატაციის ეტაპზე სამეურნეო-ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად მოწყობილი იქნება 20 მ³ მოცულობის სეპტიკი, საიდანაც შეგროვილი მასა გადაიტუმბება გამწმენდ ნაგებობაში.

გზმ-ის ანგარიში მოიცავს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბიოლოგიური გარემოს შეფასებას, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების ანალიზს და შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს. პროექტის მიხედვით, საკანალიზაციო ქსელი თითქმის მთლიანად გაივლის არსებული საავტომობილო გზების დერეფანში. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრის მცირე ნაწილზე წარმოდგენილია მწვანე ნარგავები, რომელთა გარემოდან ამოღება/ჭრა არ მოხდება, ვინაიდან უშუალოდ საპროექტო ინფრასტრუქტურისთვის გათვალისწინებული ტერიტორია მოშორებულია აღნიშნული ნარგავებიდან. დოკუმენტის თანახმად, ტერიტორია არ გამოირჩევა ფაუნის სახეობების მრავალფეროვნებით. გარდა ამისა, ცხოველთა სამყაროს შემფოთება ძირითადად დაკავშირებულია მშენებლობის ეტაპთან და ატარებს დროებით ხასიათს. შესაბამისად, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება გარკვეული შემარბილებელი ღონისძიებები, მაგალითად სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორიის გამწვანება, საპროექტო ტერიტორიის შემოღობვა.

გზმ-ის ანგარიშში აგრეთვე წარმოდგენილია ინფორმაცია მდ. აბაშისწყალში არსებული იქტიოფაუნის შესახებ და აღნიშნულია, რომ პროექტის განხორციელება დადებით გავლენას მოახდენს იქტიოფაუნაზე, ვინაიდან არსებულ პირობებში საკანალიზაციო წყლები გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდ. ბურსაში, ხოლო პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს აღნიშნული წყლების გაწმენდას, რაც პოზიტიურ ზემოქმედებას იქონიებს მდ. აბაშისწყლის წყლის ხარისხზე. დოკუმენტის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მდინარის კალაპოტში დაგეგმილი არ არის, შესაბამისად, მდინარის წყლის სიმღვრივის მატებას ადგილი არ ექნება, თუმცა, მშენებლობის ეტაპზე, დაბინძურების პრევენციის მიზნით, გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს დაცული ტერიტორიები და მიწისზედა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ნებისმიერი სახის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ობიექტისა თუ არტეფაქტის გამოვლენის შემთხვევაში განხორციელდება შესაბამისი სამსახურის დაუყოვნებლივ ინფორმირება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მავნე ნივთიერებების წარმოქმნა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. მშენებლობის ეტაპზე მავნე ნივთიერებების წარმოქმნა მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების ტექნიკის მუშაობისას, არასტაციონარული წყაროებიდან. ხოლო ობიექტის ოპერირებისას ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებები იქნება აზოტის დიოქსიდი, ამიაკი, გოგირდწყალბადი, ნახშირბადის ოქსიდი, მეთანი, მეთილერკაპტანი და ეთილმერკაპტანი. დოკუმენტში წარმოდგენილია გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობების გაანგარიშება, რომლის თანახმადაც აღნიშნული

ნივთიერებების კონცენტრაციები როგორც 500 მეტრის რადიუსში, ისე უახლოეს შენობა ნაგებობასთან არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეებისაგან და მისი ზედაპირი ძირითადად წარმოდგენილია მდინარის მიერ ჩამოტანილი ქვიშა-ხრემოვანი ნაყარით. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობება განხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ტერიტორიის მცირე ნაწილზე (დაახლოებით 1000 მ²) 50 მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. მოხსნილი ნიადაგი დასაწყობდება სამშენებლო ტერიტორიაზე (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-282123; Y-4696994) ცალკე გამოყოფილ ფართობზე, რომელიც დაცული იქნება გარე ფაქტორების ზემოქმედებისგან. ნიადაგის განსათავსებლად შერჩეული უბანი ზედაპირული წყლის ობიექტიდან დაშორებული იქნება 120 მ-ზე მეტი მანძილით. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება რეკულტივაციის მიზნით, ტერიტორიის მოსაწყობად. რაც შეეხება ექსკავაციის პროცესში წარმოქმნილ ფუჭ ქანებს, აღნიშნული გამოყენებული იქნება საპროექტო ტერიტორიაზე ჩაღრმავებების ამოსავსებად. დოკუმენტში აგრეთვე განხილულია ნიადაგსა და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედების საკითხები და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება დაკავშირებული იქნება სამშენებლო ტექნიკის მუშაობასა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან. ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე - ჰაერშემბერების ოპერირებასთან. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან დასახლებული პუნქტის დაცილების მანძილიდან გამომდინარე, საპროექტო სამუშაოების განხორციელების არცერთ ეტაპზე უახლოეს მოსახლესთან ხმაურის დონის გადაჭარბებას ადგილი არ ექნება. დოკუმენტში აგრეთვე განხილულია ხმაურის გავრცელების დონეების ნორმირებულ ფარგლებში შენარჩუნების მიზნით გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებები. მათ შორის მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი, სამუშაოების მხოლოდ დღის საათებში განხორციელება, ხმაურიანი სამუშაოების დაწყებამდე მოსახლეობის ინფორმირების უზრუნველყოფა. ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე ჰაერშემბერები განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, რომლის კედლებიც უზრუნველყოფს ბარიერის ფუნქციის შესრულებასა და ხმაურის დახშობას.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევების შედეგად რაიმე სახის გეოდინამიკური პროცესები და მოვლენები არ დაფიქსირებულა. გამოვლენილი არ ყოფილა აგრეთვე გრუნტის წყლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გრუნტის წყლებზე ზემოქმედების რისკები დაბალია, ხოლო მათი მინიმუმამდე შემცირების მიზნით, დოკუმენტში აგრეთვე გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის განხორციელებისას, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულ კონტეინერში და მის გატანას უზრუნველყოფს მუნიციპალური სამსახური. ხოლო სახიფათო ნარჩენები (საღებავების ნარჩენები, დაბინძურებული შესაფუთი მასალა, ზეთის ფილტრები და ა.შ.) დროებით განთავსდება სამშენებლო ტერიტორიაზე მოწყობილ სპეციალურ საცავში (მშენებლობის ეტაპზე), და გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე გამოყოფილ სპეციალურ სათავსში (ექსპლუატაციის ეტაპზე). ობიექტზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს მსგავსი ტიპის ობიექტი, შესაბამისად, საქმიანობის განხორციელების ეტაპზე გარემოს კომპონენტებზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გაწმენდის შერჩეული ტექნოლოგიიდან გამომდინარე, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია ატმოსფერულ ჰაერში არასასიამოვნო სუნის გავრცელების მნიშვნელოვან რისკებთან არ იქნება დაკავშირებული. ხოლო არსებული რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, გათვალისწინებულია შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: გამწმენდი ნაგებობის პერიმეტრზე წიწვოვანი ნარგავების დარგვა, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის წესების დაცვაზე ზედამხედველობა და მონიტორინგისას გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირება. დოკუმენტის თანახმად, დაგეგმილი მონიტორინგის ღონისძიებები მოიცავს: დანადგარების ტექნიკური კონტროლის განხორციელებას, მოსახლეობის გამოკითხვას და ა.შ.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე, ცენტრის ფეისბუქზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 31 მაისს, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საქმიანობის განმახორციელებელი - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“, გზმ-ის ანგარიშის შემდგენელი საკონსულტაციო კომპანიის, ქ. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვის ფარგლებში საზოგადოებამ დააფიქსირა მათი დადებითი განწყობა აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით და ისაუბრეს მისი სამომავლო გაფართოების საჭიროებაზე, რაზეც შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ მომავალში შესაძლებელია მისი გაფართოება და უფრო მეტი სოფლის

უზრუნველყოფა ზემოაღნიშნული სისტემით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით, სამინისტროში წერილობითი შენიშვნები არ ყოფილა წარმოდგენილი.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.6 ქვეპუნქტისა და ამავე დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. მარტვილში, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის გზშ-ის ანგარიშსა და ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების“ შესაბამისად;
5. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრებისა და ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დაცვა;
6. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასახული იქნება მშენებლობის ეტაპისთვის ცხოველებზე ზემოქმედებაზე დაკვირვების საკითხები;

7. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ უზრუნველყოს გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული მონიტორინგის შედეგების (ექსპლუატაციის პერიოდი) სააგენტოში წარმოდგენა წელიწადში ერთხელ;
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ სამშენებლო სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
9. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სამშენებლო ბანაკის დეტალური პროექტის შემუშავება და სააგენტოში shp ფაილებთან ერთად შესათანხმებლად წარმოდგენა, ხოლო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების მოწყობის შემთხვევაში, ასევე ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღების ან/და წყალჩაშვების შემთხვევაში უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა;
10. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
11. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების გაწმენდის შედეგად წარმოქმნილი ლამის ლაბორატორიული ანალიზის შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა;
12. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს;
13. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
14. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“;
15. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
16. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე მარტვილის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
17. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო